როგორც სამშაბათის ნომერში გაკვრით აღვნიშნეთ, წელს აღარანაირი საკროსვორდო ჩემპიონატის ჩატარებას არ ვაპირებთ, რადგან გაზეთის ფურცლებზე კროსვორდის გამოქვეყნებამ და შემდეგ პასუხების მიღებამ ტელეფონით ყოველგვარი აზრი დაკარგა, თუმცა ჩვენ მაინც არ ვაპირებთ ამგვარი ტურნირების უარყოფას, რადგან რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სხვა გამოცემები აპირებენ მსგავსი ღონისძიების გამართვას და, ალბათ, ჩვენც ვითანამშრომლებთ მათთან.

რაც შეეხება „ფანტაზიის“ კლუბს და მის საქმიანობას, უახლოეს ხანში განვაახლებთ მას და გავმართავთ მეგობრულ საკროსვორდო მატჩებს, სადაც არანაირი დაპირისპირება და „კონკრეტული“ მიზნებისათვის ბრძოლა არ იქნება. პირველ ამგვარ შეხვედრას თებერვლის შუა რიცხვებისათვის ვგეგმავთ.

## როტული იტალიური კროსვორდი

| | ზევსის ფარი / პატარა | ადმ.-ტერიტ. ერთეული | გვარჯალაძე / დაბრკოლება | რასპუტინა | თხის ნაშიერი | ჯონათან (......) | უძვ. საქართველო | ჩიტიც და ფილმიც | პირბადე / (....) ბაბენი | ზოგის ცხვირს აქვს | ტიბეტის ქალ. / მაღალი ხე | ავთოს სატრფო | აველანქი / „კარტი“ | რძის ნაწარმი | სინათლის ისარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამაჩაბლოს ქალაქი | | | | | | | | | | | | | | | |
| ტაძარი ყვარლის რაიონში | | | | | | | | | | | | | | | |
| საბერძნ. კუნძული / ახალი (...) აფხაზ. | | | | | | | | | | | | | | | |
| ძველი კანონი / (......) უკრაინკა | | | | | | | | | | | | | | | |
| გაერთიანება / კათოლდი და... | | | | | | | | | | | | | | | |
| ინდუიზმის ერთ-ერთი ღმერთი | | | | | | | | | | | | | | | |
| იტალიის გადახრილი კოშკი | | | | | | | | | | | | | | | |
| შრომის სითხე / ზოგი ყავაა | | | | | | | | | | | | | | | |
| სოფელი ახმეტის რაიონში | | | | | | | | | | | | | | | |
| ჭრილობა / სასმისი | | | | | | | | | | | | | | | |
| კაენის ძმა / საპირისპირო | | | | | | | | | | | | | | | |

ბოკაჩოს ნაწარმოები
ქალი-ლაქია
რუსი მწერალი პაროდისტი
მეწარმ. გაერთ. / იაპონ. ალუბალი
მინერალი (........) ბუაჩიძე
რუსეთის მთიანი მხარე
აპენდიციტის სენი / მხდალი
არეულობის სახლი (რუს.)
ჩვენი დიდი ქალბატონი
მუსიკალური ნიშანი
კუჭის აშლილობა
საილოს წინაპარი / ალენი
ჩვენი ანბანის ძველი ასო
მუს. ინსტრუმენტი
„დაისის" პერსონაჟი
დიდი ალენი / გიორგის ვარიანტი
დავის შედეგი / NBA
სასკოლო ინვენტარი
ლორთქიფანიძე
პატიმარი ანუ? / ლოლობერიძე
ურის კოლეგა / კონსტანტინოპოლი
ძვ.შუამდინარ. ქალაქი
თეატრის ქანდარა
ჩვენი სიონი / ყურანის ეშმაკი
უნდა განყდეს კაცებისა
თბილისის უბანი
ორი ერთიანი / ტურგენ. მოთხრ.
ევროპის სახელმწ. დედაქალაქი
ხიფათი, შარი
(......) თედიაშვილი
(......) კასტა
ძვ.შოტლ ანდიელი ფეხბურთელი
ჰიტლერის სისხლი იყო (?)
ერთ-ერთი ხალიფა
ჩვენი მისამღერი
ძვ.მანქანების ნაწილი
ძვ.ბერძენი პოეტი-მომღერ.
(.....) დგ-ებუაძე / სევდა, ნაღველი
შარზე მყოფი / დაუფლება
(.......) მატიე
ოლიგოფრენია / ძველად ანუ?
იარებიანი ანუ / უარყოფ. იონი
მუშაობის წლები
აფრიკის უდაბნო
კრუხის ხმიანობა / ჩვენი ქალაქი
საბჭოთა ჯიპი
ჰარიეტ-ბიჩერ-(......)
ზრდილობას მოკლებული
ამერიკ. თოჯინა
რკინის ჯოხი
სიმონა ძალაძე იყო
ფრინველს აქვს
მსახიობი ფრანკო (.....)
შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა
იტალ. ფეხბურთელი
პატიმრის ბინა
(.....) გოგიბერიძე
საშენი ქვა / სამეული

**კროსვორდის ამოხსნის შემდეგ შესაძლოა, ასეთი კითხვები დაგებადოთ**



„დეკამერონის" ავტორმა თავისი (ფოტო იხილეთ) ნაწარმოების სათაურში ჩადო აზრი: ა) ათი მოთხრობა. ბ) ათი დღე. გ) ათი მთხრობელი. დ) ათი თვე.



„იდიოტის" ავტორმა თავისი (ფოტო იხილეთ) ნაწარმოების სათაურში იდიოტი ოლიგოფრენთან გააიგივა, თუმცა ბერძნულად „იდიოტია" ნიშნავს: ა) უმეცრებას. ბ) სიგიჟეს. გ) უზრდელობას. დ) უგნურებას.



კონსტანტინეპოლს თურქებმა გადაარქვეს სახელი, მას შემდეგ, რაც ბერძნებისაგან გაიგეს ფრაზა - „ეის ტინ პოლ", რაც ნიშნავს: ა) აქ არის ქალაქი. ბ) ეს არის ქალაქი. გ) დაიპყარით ქალაქი. დ) ეს ქალაქი ჩვენია.



ძველთბილისელთათვის ნაცნობი სიტყვა „ხათაბალა" სპარსულად ნიშნავს: ა) ვაი და ვიში. ბ) ხიფათი და უბედურება. გ) ვაი-ვაგლახი. დ) ჭირ-ვარამი.

**ამასწინათ ამ ქალბატონს მიენიჭა პრემია, რაც არავითარ პრესტიჟულობას არ გულისხმობს, პირიქით – შეურაცხმყოფელიც კია...**

**რა პრემიაა ეს?**



აშშ კინორეჟისორი სტენლი 7

ლენინის გაზეთი 5

მანძილის საზღვაო ერთეული 4

ჩვენი რეჟის. 7

ოსი 5

მელვილის „მობი (......)“ 4

იხილეთ ფოტო

იტალ. ფეხბურთელი 8

ჯიმ კერის ძაღლი „ნიღაბში“ 5

ბალზაკის „მამა (....)“ 5

(......) შენგელაია 5

(......) დელონი 4

უსინათლო 4

სამიზნის ცენტრში 6

მეცხვარის სამოსი 6

ჩალის ქუდის სახეობა 7

მათემატიკ. უცნობი 6

ჩვენი მდინარე 6

(.......) ფედოსეევა-შუქშინა 5

დიპლომატური ჩინი 5

(......) ბლოხინი 4

მუსიკას გააჩნია 5

ლატვიის დედაქალაქი 4

გამოკითხვის ფურცელი 6

იტალიის ფეხბ. გუნდი 5

სამნახატიანი ნაწარმოები 8

რაიმეს საფუძველი 6

ციმბირის მთიანი მხარე 5

თამაში ბურთით და ხის ჩაქუჩებით 7

არგენტინის ფეხბ. გუნდი – „(..........) ხუნიორსი“ 4

ქიმიურად შეკავშირებული ნივთიერებები 6

შვარცენეგერი ფილმში „ტერმინატორი“ 7

სისხლძარღვი 5

ხალხის გადაადგილება 8

ყირგიზეთის პრეზიდენტი 6

ევროპის ჩექმა 6

უკრაინელი მსახიობი (.......) როგოვცევა 3

XIX საუკუნის საზ. მოღვაწე, ია 11

საბერძნ. ტერიტ. ერთეული 4

ვერდის ოპერა 4

დამნაშავეთა ჯგუფი 5

XIX–XX სს რუსი დრამატურგი 9

კაიმანიც და ალიგატორიც 6

ბოლოს კვდება 5

ჰომეინიც, რაფსანჯანიც 7

ახლო აღმოსავლეთის ისტ.რეგიონი 7

ზურიკელას მეგობარი 5

მონობის უღელი 6

ტბა რუსეთის ნოვგოროდის ოლქში 6

იემენის დედაქალაქი 4

გამარჯობა! 6

ჰომეროსის პოემა 6

იტალ. მხატვარი (........) გუტუზო 6

სამხრ. ამერიკის ქვეყანა 4






William Shakespeare
(1564-1616)
Sonnets

# უილიამ შექსპირი
## სონეტები

*„ფანტაზიის“ მკითხველებს კარგად ახსოვთ და მოსწონთ რუბრიკა, სადაც სხვადასხვა დროს წარმოდგენილნი იყვნენ „უცნაური“ ფრანგები, იტალიელები და ესპანელები ყველა თავისი სიკეთითა თუ ახირებულობით.*
*შემდეგი ნომრიდან დავიწყებთ ამერიკელებზე საუბარს, რომლებიც არანაკლები „კაპრიზებით“ გამოირჩევიან.*

**But be contented: when that fell arrest**
**Without all bail shall carry me away,**
**My life hath in this line some interest,**
**Which for memorial still with thee shall stay.**
**When thou reviewest this, thou dost review**
**The very part was consecrate to thee:**
**The earth can have but earth, which is his due;**
**My spirit is thine, the better part of me:**
**So then thou hast but lost the dregs of life,**
**The prey of worms, my body being dead,**
**The coward conquest of a wretch's knife,**
**Too base of thee to be remembered.**
**The worth of that is that which it contains,**
**And that is this, and this with thee remains.**

**С.Я. МАРШАК**

**Когда меня отправят под арест**
**Без выкупа, залога и отсрочки,**
**Не глыба камня, не могильный крест -**
**Мне памятником будут эти строчки.**
**Ты вновь и вновь найдешь в моих стиха**
**Все, что во мне тебе принадлежало.**
**Пускай земле достанется мой прах, -**
**Ты, потеряв меня, утратишь мало.**
**С тобою будет лучшее во мне.**
**А смерть возьмет от жизни быстротечно**
**Осадок, остающийся на дне,**
**То, что похитить мог бродяга встречный,**
**Ей - черепки разбитого ковша,**
**Тебе - мое вино, моя душа.**

**А.М. ФИНКЕЛЬ**

**Но не ропщи, когда последний суд**
**Меня засудит, не дав мне отсрочки,**
**Я не исчезну - жизнь мою спасут**
**Хранимые тобою эти строчки.**
**Читая их, найдешь в моих стихах**
**Все лучшее, чем только я владею.**
**Земля возьмет положенный ей прах,**
**Но дух - он твой, а что из них ценнее?!**
**Ты потеряешь труп бездушный мой -**
**Ножей злодейских подлую награду,**
**Отбросы жизни, корм червей гнилой -**
**Все то, о чем и вспоминать не надо.**
**Ты ж часть моя, что вправду хороша.**
**Она твоя, навек твоя - душа.**

* * *

რადგან ჯერ ტყვე ვარ წუთისოფლის მუხთალი ჟამის,
რადგან ჯერ გიძღვნი სიყვარულით სავსე სტრიქონებს,
რადგან სულ მალე მეც მომისჯის სიკვდილის წამი
მოუსავლეთის საპატიმრო ქორინიკონებს.
რადგან ჯერ მწყალობ, მენდობი და მეამაგები,
რადგან სიკეთის დასაბამი ჩემში გინახავს,
მიწამ წაიღოს ჩემი ტანი, მიწით ნაგები,
სული კი ლექსში მხოლოდ შენთვის შემომინახავს.
მე უკვე ვხედავ ჟამთასრბოლის უძირო ფსკერზე,
რომ ილექება ამღვრეული ჩემი ცხოვრება,
რომ ლატაკივით გადმომდგარა სიკვდილი სერზე
და ამ დარჩენილ ორ დღეზეც კი მემათხოვრება.
მიწამ თავისი მიიბაროს, დრომ კი - თავისი,
ჩემი სული კი შენია და სხვა არავისი.

**თარგმნა ალ.ელერდაშვილმა. 16.01.2003.**

**სტეფანი ფოლი**

# ეს უცნაური ამერიკელები

**Stephanie Faul. The Xenophobe's Guide to The Americans**



*ავტორის შესახებ*

სტეფანი ფოლი - თავისუფალი მხატვარი, უფრო სწორად მწერალი, რედაქტორი და ჟურნალისტი, ცხოვრობს ქალაქ ვაშინგტონში, ძველ სახლში, სადაც ავეჯის ფუნქციას წიგნები და მცენარეები ასრულებენ და ჩამოცვენილი ბათქაშის შესაგროვებლად დიდი ურნა დგას.

...უყვარს ირლანდიური მუსიკა, ვიეტნამური სამზარეულო, იტალიური ფეხსაცმელი, სიამის კატები და ინგლისური რომანები.

ბავშვობამ და ყრმობამ, რომელიც მან დედაქალაქში გაატარა, მას საშუალება მისცა ყველა წვრილმანით და სიგრძე-სიგანეთ გაეცნო თავისი თანამემამულეები და გაეცნო ბევრად უფრო მეტი, ვიდრე თავად სურდა ამერიკელთა ცხოვრების წესის დეტალები.

მის ფოლი წარმოშობით ტიპიური ამერიკელია, ანუ ჩეხი ემიგრანტების და კონექტიკული იანკების შთამომავალი გახლავთ. მისი ბებია კვლავაც გერმანულად მეტყველებს, ნათესავები კი საკმაოდ ჰყავს კანადაში. მისი წარმოდგენები ქსენოფობიის შესახებ გარკვულწილად ჩამოაყალიბა ფრანგულ დაწყებით სკოლაში და შვეიცარულ პანსიონში სწავლამ, აგრეთვე ინგლისურ პაბეში გატარებულმა საღამოებმა არდადეგების დროს.

იგი საკუთარ თავში ტიპიურად ამერიკული თვისებიბი უამრავ შტრიხს ხედავს, ანუ: ცნობისმოყვარეობას, გამომგონებლობას, პირდაპირობას. არატიპიურ თვისებათაგან კი შეიძლება ხაზი გაესვას: ტელევიზორისადმი და მაღაზიებისადმი გულგრილობას და სურვილს, რომ ნებისმიერ დროსა და ვითარებაში, შეძლებისდაგვარად იაროს ფეხით და არა ავტომობილით....

* * *

„**ეს უცნაური ამერიკელები**“ შემდეგი საკითხების მიხედვით არიან დახასიათებულნი:



- ეროვნულობა და თვითშეგნება
- ხასიათი
- იუმორის გრძნობა
- ახირებული იდეები
- გართობა და დასვენება
- აზროვნების თავისებურებანი
- ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი
- წეს-ჩვეულებები და ტრადიციები
- საჭმელ-სასმელი
- კულტურა
- გარეგნობა და ჰიგიენა
- მთავრობა და ბიუროკრატია
- სისტემები
- დანაშაული და სასჯელი
- ბიზნესი
- ენა და აზროვნება




### ისტორიული ექსკურსი

ადამიანები თანამედროვე მენის ტერიტორიაზე გამყინვარების პერიოდის დასასრულიდანვე დასახლდნენ და ძირითადად დიდი ზომის ცხოველებზე ნადირობით ირჩენდნენ თავს. ამ რეგიონში ოდითგანვე ალგონკინების ენობრივი ჯგუფის ინდიელები ბინადრობდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ აბენაკის, პასამაკოდის და მიკმაკის ტომის ინდიელები. ევროპელების გამოჩენამდე ოკეანისპირა რეგიონში დაახლოებით 20 000 ადამიანი ცხოვრობდა.

### ევროპელი პირველაღმომჩენები

ჩრდილოეთ ამერიკის უკიდურესი სანაპიროები XII საუკუნეში ნორვეგიელი მეზღვაოსნების მიერ იქნა ათვისებული, თუმცა ევროპელთა მასობრივი დაინტერესება ამ მხარით კოლუმბის აღმოჩენის შემდეგ დაიწყო. 1497 წელს ინგლისის მეფე ჰენრი VII-ემ ჯონ კებოტის ხელმძღვანელობით საგანგებო რაზმი გაგზავნა ჩრდილოეთ ატლანტიკის სანაპიროებისაკენ, ოციოდე წლის შემდეგ თანამედროვე მენის ტერიტორიაზე იტალიელი ჯოვანი დე ვერაძანოც გამოჩნდა (ეს უკანასკნელი საფრანგეთის მეფის დავალებას ასრულებდა). ევროპელთა დასახლება კი 1602 წლიდან დაიწყო, როცა ინგლისელთა პირველმა დიდმა ნაკადმა მუდმივ საცხოვრებლად სწორედ აშშ-კანადის საზღვრები მოიწონა. ამავე წლებიდან საფრანგეთსაც გაუჩნდა პრეტენზიები ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარისადმი და დაიწყო სა-



ქალაქი ოგასტა

ომარი კონფლიქტი ევროპის ორ ქვეყანას შორის ატლანტის ოკეანისპირა ტერიტორიების დაუფლების მიზნით. დაპირისპირებას ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა დიდბრიტანელთა უპირატესობა, რომლებმაც საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს თანამედროვე მასაჩუსეტსის შემოგარენი და მათ შორის ახლანდელი მენიც, რომელიც მასაჩუსეტსის შემადგენლობაში 1820 წლამდე დარჩა.

რეგიონის აბორიგენები თითქმის XVIII საუკუნის შუა წლებამდე არ თმობდნენ თავის პოზიციებს და მენი სასტიკი ომების არენად იყო ქცეული. ომში გამარჯვების მისაღწევად ევროპელები სულ უფრო დიდ ძალებს იშველიებდნენ, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ მენის სანახებიდან პრაქტიკულად გაძევებულ იქნენ აბორიგენები და შტატის მოსახლეობის აბსოლუტურად უმრავლესნი თეთრკანიანები გახდნენ.

მენის სისხლისმღვრელ ისტორიას ზღვარი დაუდო ამერიკის რევოლუციამ, რომლის შემდეგაც ფრანგებმა ჩრდილოეთისაკენ (კვებეკისაკენ) გადაინაცვლეს, ინგლისელებმა კი უარი თქვეს ბრძოლის გაგრძელებაზე და მენი აშშ-ს ერთ-ერთ საყრდენ ფორპოსტად იქცა ჩრდილოეთის მიმართულებით.

# მენი

**მენი** (Maine) - მდებარეობს აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილის უკიდურესი ჩრდილოეთით, კანადის (კვებეკის პროვინციის) საზღვართან, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და ე.წ. „ახალი ინგლისის" ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მენი აშშ-ს სრულუფლებიან შტატად გამოცხადდა **1820 წლის 15 მარტს** მას შემდეგ, რაც მასაჩუსეტსს გამოეყო და ქვეყნის **რიგით 23-ე** შტატი გახდა.

* * *

მენს, მისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, სხვაგვარად „ფიჭვნარის შტატსაც" უწოდებენ, თავად სიტყვა Maine-ის წარმოშობას კი, შესაძლოა ორი საფუძველი ჰქონდეს: 1) ინგლისური Main- მთავარი ან 2) საფრანგეთის ამავე სახელის მქონე პროვინციის დუბლირება ამერიკის კონტინენტზე.

* * *

დაახლოებით 10 000 წლის წინ თანამედროვე მენის მთელი ტერიტორია ყინულით იყო დაფარული, რამაც დიდი გავლენა იქონია დღევანდელი ლანდშაფტების ჩამოყალიბებაზე. გეოგრაფიული თვალსაზრისით კი რეგიონი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: აპალაჩის მთების კალთები, ახალი ინგლისის ზეგანი და ოკეანისპირა დაბლობები.

* * *

მენი აშშ-ს მრეწველობაში ცნობილია, როგორც ცელულოზისა და ქაღალდის ძირითადი მწარმოებელი. აქ კარგადაა განვითარებული სამიწათმოქმედო სოფლის მეურნეობაც.

მენი ტურისტებისა თუ მონადირე-მეთევზეების დიდ ნაკადს მთელი წლის განმავლობაში იზიდავს. შტატის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს აკადიის ეროვნული პარკი.



აკადიის ეროვნული პარკი

### მენი (man)

**ფართობი** - 87,389 კვ.კმ. (33,741 კვ.მილი)
- აშშ-ს სიდიდით 39-ე შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** - 500 კმ
**მაქსიმალური სიგანე** - 325 კმ
**მოსახლეობა** - 1 230 000 (1996 წ).
**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 14 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე
**ადმ. ცენტრი** - ოგასტა



**დროშა** - *მუქ ლურჯ ფონზე ღერბი წარწერით* ***Maine***



**ღერბი** - *წარწერით* ***Dirigo***



**ფრინველი** - *შავი წივწივა* ***(Black-Capped Chickadee)***



**ყვავილი** - *თეთრი ფიჭვის ყვავილედი* ***(White Pine Cone and Tassel)***



**ხე** - *თეთრი ფიჭვი* ***(White Pine)***.

**დევიზი** - *ლათ.* ***Dirigo***
(მე წარვმართავ)

* მენი 16 ოლქადაა დაყოფილი.

* ეს შტატი აშშ-ში 38-ე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

* მენის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ინგლისიდან და შოტლანდიიდან გადასახლებულ კოლონიზატორთა შთამომავლები არიან. ოკეანის სანაპიროზე კი ფრანგების შთამომავლები ცხოვრობენ.

* მენის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა - 98,4% თეთრკანიანები არიან, დანარჩენნი კი პრაქტიკულად აღრეული რასების წარმომადგენლებად მოიხსენიებიან.

* მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან.

* უდიდესი ქალაქებია: პორტლენდი (65 000), ლევისტონი (40 000), ბანგორი (35 000), ობერნი (25 000), ოგასტა (22 000).

**პორტლენდი** - მენის შტატის ყველაზე დიდი ქალაქი და უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრი. მდებარეობს ატლანტის ოკეანეში შეჭრილ ნახევარკუნძულზე, შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქალაქი დაარსებულია 1632 წელს ინგლისელი კოლონიზატორების მიერ. XIX საუკუნის შუა წლებამდე წარმოადგენდა რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. ქალაქში ფუნქციონირებს 1878 წელს შექმნილი უნივერსიტეტი. პორტლენდში დაიბადა და ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა პოეტმა ჰენრი ლონგფელომ.



PORTLAND

# უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

**დეკანი** - 1) ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში. 2) კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიაში უფროსი მღვდელი. 3) ძველ რომში ჯარის ათისთავი. 4) იგივეა, რაც *დუაიენი.*

**დეკანი** ალექსანდრ გაბრიელი - ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი (1803 - 1860 წწ).

**დეკანოზი** - 1) ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი. 2) საქართველოს ზოგ მთიან კუთხეში - ხატის მსახური.

**დეკანოზიშვილი** გიორგი - პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1867 - 1910 წწ).

**დეკანოსიძე** თამარ - პათოლოგანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (დაიბადა 1922 წელს).

**დეკანტაცია** (დეკანტირება) - სითხიდან ნალექის გამოყოფის ლაბორატორიული და ტექნიკური ხერხი, დაწდომა.

**დეკაპირება** - ლითონის ნაკეთობათა დამზადების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს მათს ზედაპირზე წარმოქმნილი ჟანგეულების თხელი ფურჩის მოცილება ქიმიური ან ელექტროქიმიური ხერხით.

**დეკაპიტაცია** - ხერხემლიანი ცხოველებისათვის თავის მოკვეთა; მიმართავენ ფიზიოლოგიური ექსპერიმენტებისათვის.

**დეკარბონიზაცია** - რაიმე მასალის განთავისუფლება ნახშირბადისაგან.

**დეკარტი** რენე (ლათინიზირებული სახელი - რენატუს კარტეზიუს) - ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი (1596 - 1650 წწ).

**დეკატირება** - მატყლის ქსოვილის დამუშავება ცხელი წყლით ან ორთქლით მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**დეკატონა** - 10 ტონა.

**დეკატრონი** - იონური ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ციფრული თვლისათვის (ათობით სისტემაში) და ელექტრული წრედების გადასართავად.

**დეკეიტერი** - ქალაქი აშშ-ს ილინოისის შტატში.

**დეკელი** - ელასტიური საფენი, რომელიც საბეჭდ მანქანებში იდება ქაღალდისა და ფორმის შესამჭიდროებლად.

**დეკემბერი** - კალენდარული წლის მეთორმეტე თვე.

**დეკენი** ჟოზეფ - ფრანგი ბოტანიკოსი და მებაღე (1807 - 1882 წწ).

**დეკერი** 1) თომას - ინგლისელი დრამატურგი (1572 - 1632 წწ). 2) იერემიას დე - ნიდერლანდელი პოეტი-კალვინისტი (1609 - 1666 წწ). 3) ნიდერლანდელი მწერლის, *მულტატულის* ნამდვილი გვარი.

**დეკეული** - ფური ერთიდან ორ-სამ წლამდე, პირველი ხბოს მოგებამდე, უშობელი.

**დეკვალიფიკაცია** - კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნის და გამოცდილების დაკარგვა.

**დეკი** - სამგზავრო გემის ზედა გემბანი.

**დეკიანი** - დეკით დაფარული ადგილი.

**დე კირიკო** ჯორჯო - იტალიელი ფერმწერი (1888 - 1978 წწ).

**დეკლა** - ლატვიურ მითოლოგიაში კეთილი ღვთაება, რომელიც ახლადშობილებს მფარველობს.

**დეკლამატორი** - მხატვრული კითხვის ოსტატი მსახიობი.

**დეკლამაცია** - მხატვრული კითხვის ხელოვნება.

**დეკლარაცია** - 1) ოფიციალური ან საზეიმო გამოცხადება რაიმე აქტისა, კანონისა. 2) გადასახადის გადამხდელის განცხადება თავის შემოსავლებისა და ქონების შესახებ. 3) ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო პოლიტიკის რაიმე საკითხის შესახებ. 4) საფოსტო დოკუმენტი, რომელიც ახლავს საზღვარგარეთ გასაგზავნ ფულს ან ფასიან პაკეტს. 2) საბაჟოს საბუთი, რომელიც ივსება საბაჟოზე საზღვრის გადაკვეთისას შესატან-გასატანი ქონების შესახებ.

**დეკლარირება** - დეკლარაციით გამოსვლა, საზეიმო განცხადება.

**დეკლასირებული** - პიროვნება, რომელიც კავშირს კარგავს თავის კლასთან და აღარ მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**დე კლერკი** ფრედერიკ ვილემ - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1989-94 წლებში. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში 1993 წელს (ნელსონ მანდელასთან ერთად).

**დეკლინატორი** - ხელსაწყო რომლითაც არკვევენ მაგნიტურ დახრილობას.

**დეკლინაცია** - დახრა, გადახრა, ბრუნება.

**დეკნა** - ესე კრკალი არს ცისა, სამხრით კერძო, რომელსა მზე ზამთარ მას ვერ გასცილდება (საბა).

**დეკოდერი** - ტელედანადგარი, რომელიც სპეციალური პროგრამებისა და არხების მიღების საშუალებას იძლევა.

**დეკოლონიზაცია** - კოლონიებისათვის თავისუფლების მიცემა.

**დეკოლორაცია** - ფერის მოსპობა გამოსახულებაზე.

**დეკოლტე** - ქალის კაბა, რომელსაც გული ღრმად აქვს ამოჭრილი.

**დეკოლტირებული** - ღრმად გულამოჭრილი.

**დეკომედი** ნიკოპოლელი - ერთ-ერთი იმ ორმოც წამებულთაგან, ვინც იმპერატორ ლიცინიუსის რისხვის ობიექტი გახდა (გარდაიცვალა დაახლოებით 319 წელს).

**დეკომპენსაცია** - კომპენსაციის დარღვევა.

**დეკომპრესია** - 1) შეკუმშვის შემცირება. 2) ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ატმოსფერული ჰაერის წნევის მკვეთრი დაწევით; შეინიშნება კესონური, საყვინთავი სამუშაოების დროს და ა.შ.

**დეკომპრესორი** - სამარჯვი, რომელიც მიერთებულია შიგაწვის ძრავის ცილინდრთან; ამცირებს შეკუმშვას ცილინდრში ძრავის ამუშავების ან გაჩერების დროს.

**დეკონსტრუქტივიზმი** - მიმდინარეობა XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში, კონსტრუქტივიზმის პაროდიული დაპირისპირება.

**დეკონცენტრაცია** - სხვადასხვა ადგილას განლაგება, გაშლა.

**დეკორატიული** - ადგილის დამამშვენებელი, ეფექტური, ლამაზი.

**დეკორატორი** (მხატვარი) - შენობა-ნაგებობების და პავილიონების მხატვრული გაფორმების სპეციალისტი მხატვარი.

**დეკორაცია** - სანახაობის ვიზუალური ეფექტის მისაღწევად გამიზნული გაფორმება სცენისა, კინოპავილიონისა და ა.შ.

**დეკორი** - ნაკეთობის ან ნაგებობის მორთვის სისტემა, დეკორატიული ელემენტების ერთობლიობა.

**დეკორტი** - საქონელზე ფასის დაკლება, როდესაც მისი ხარისხი ან რაოდენობა არ შეესაბამება პირობით დათქმულს.

**დეკორტიკაცია** - 1) მცენარეების ღეროს მერქნისათვის ლაფნის გაძრობა წინასწარ დაუსველებლად. 2) თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროებისათვის ქერქის მოცილება. მიმართავენ ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაში ქერქის ფუნქციების შესასწავლად.

**დეკორუმი** - გარეგნული კეთილდღეობა, გარემო, რაც შესაბამის თანამდებობას ან მდგომარეობას შეესატყვისება.

**დე კოსტერი** შარლ თეოდორ ანრი - ბელგიელი ფრანგულენოვანი მწერალი (1827 - 1879 წწ).

**დეკოქტი** - სამკურნალო პრეპარატის ფორმა, ნახარში.

**დე კრაიფი** (დე კრიუი) პოლ - ამერიკელი მწერალი (1890 - 1971 წწ).

**დეკრემენტი** - ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში აგზნების ტალღის თანდათანობით მილევა, როდესაც ის ვრცელდება ნერვში.

**დეკრეტალია** - ადრესატისადმი გზავნილის სახით გაცემული დადგენილება რომის პაპებისა IV საუკუნიდან.

**დეკრეტი** - სახელმწიფოს ან მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი რიგ ქვეყნებში.

**დეკრეტული** - დეკრეტით დადგენილი.

**დეკრეშენდო** - ხმის თანდათანობითი შესუსტებით, სულ უფრო და უფრო ხმადაბლა.

**დეკროლი** ოვიდ - ბელგიელი პედაგოგი-რეფორმატორი, ექიმი და ფსიქოლოგი (1871 - 1932 წწ).

**დეკრუაზილი** ფრანსუა ანტუან ანრი - ფრანგი ქიმიკოსი-ტექნოლოგი, მოცულობითი ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1751 - 1825 წწ).

**დექსბახი** მიხაილ - რუსი მფრინავი-გამომცდელი, საბჭოთა კავშირის გმირი გმირი (დაიბადა 1937 წელს).

**დე კუინსი** (დე კვინსი) ტომას - ინგლისელი მწერალი (1785 - 1859 წწ).

**დეკური** ჟაკ (ნამდვილი სახელი და გვარი დანიელ დეკურდემანში) - ფრანგი მწერალი (1910 - 1942 წწ).

**დეკურიონები** - უმაღლესი საზოგადოებრივი ფენა იტალიისა და რომის იმპერიის პროვინციულ ქალაქებში, საქალაქო საბჭოს წევრები.

**დეკურია** - კავალერიაში 10 მხედრისაგან შემდგარი ქვეგანაყოფი, ძველრომაელთა ჯარში სამი დეკურია *ტურმას* ადგენდა.

**დელავარები** - ალგონკინების ჯგუფის ინდიელთა ტომები აშშ-ს ვისკონსინის, კანზასისა და ოკლაჰომას შტატებში.

**დელაგარდი** იაკობ - გრაფი, შვედი მარშალი, შვედური ინტერვენციის წინამძღოლი (1583 - 1652 წწ).

**დელა ვალე** პიეტრო - იხილე *ვალე პიეტრო დელა.*

**დელავერი** - შტატი, მდინარე (660 კმ) და ყურე აშშ-ში.

**დელავრანჩა** (ნამდვილი გვარი შტეფენსკუ) ბარბუ - რუმინელი მწერალი და დრამატურგი (1858 - 1918 წწ)

**დელა კაზა** ჯოვანი - იტალიელი პოეტი, სწავლული და პოლიტიკური მოღვაწე (1503 - 1556 წწ).

**დელაკრუა** ეჟენ - ფრანგი მხატვარი და გრაფიკოსი (1798 - 1863 წწ).

**დელამბრი** ჟან ბატისტ ჟოზეფ - ფრანგი ასტრონომი (1749 - 1822 წწ).

**დელამოტი** ჟან ბატისტ მიშელ - იხილე *ვალენ დელამოტი ჟ.ბ.მ.*

**დელამუტი** - რძე შეყველებული (საბა).

**დელანდრი** ანრი - ფრანგი ასტრონომი (1853 - 1948 წწ).

**დელაჟი** ივ - ფრანგი ზოოლოგი (1854 - 1920 წწ).

**დელაროში** 1) მაზო - კანადელი მწერალი ქალი (1879 - 1961 წწ). 2) პოლ (ნამდვილი სახელი - იპოლიტი) - ფრანგი მხატვარი (1797 - 1856 წწ).

**დე ლა ტორე ბოტარო** გუსტავო ალფრედო - ჩილელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი (XX საუკუნე).

**დე ლაურენტისი** დინო - იტალიელი და ამერიკელი პროდიუსერი (დაიბადა 1919 წელს).

**დელაფოსი** ერნესტ ფრანსუა მორის - ფრანგი ენათმეცნიერი და ისტორიკოსი (1870 - 1926 წწ).

**დელბლანი** სვენ - შვედი მწერალი (დაიბადა 1931 წელს).

**დელბოსი** ივონ - საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე (1885 - 1956 წწ).

**დელბრიუკი** 1) ბერთოლდ - გერმანელი ენათმეცნიერი (1842 - 1922 წწ). 2) ჰანს გოტლიბ - გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე (1848 - 1929 წწ).

**დელბრუკი** მაქს - ამერიკელი ფიზიკოსი, გენეტიკოსი და ვირუსოლოგი, 1969 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ა.დ.ჰერშთან და ს.ე.ლურიასთან ერთად (1906 - 1981 წწ).

**დელგადო** (დელიკადო) 1) ფრანსისკო - ესპანელი მწერალი (დაახლოებით 1480 - დაახლიებით 1536 წწ). 2) ხოსე მანუელ როდრიგესი - ამერიკელი ნეიროფიზიოლოგი (დაიბადა 1915 წელს).

**დელგადუ** უმბერტუ - პორტუგალიის დიქტატორ სალაზარის ოპოზიციის ხელმძღვანელი (1906 - 1965 წწ).

**დელგერი** ფრანც - გერმანელი ბიზანტინოლოგი (1891 - 1968 წწ).

**დელგმა** - კოკისპირული წვიმა, თავსხმა.

**დელეგატი** - არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი, სახელმწიფოს ან რაიმე კოლექტივის რწმუნებული.

**დელეგაცია** - დელეგატების ჯგუფი.

**დელედა** გრაცია - იტალიელი მწერალი ქალი, *ვერიზმის* წარმომადგენელი (1871 - 1936 წწ).

**დელეზი** ჟიულ - ფრანგი ფილოსოფოსი, პოსტსტრუქტურალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (1925 - 1995 წწ)

**დელეკლიუზი** ლუი შარლ - ფრანგი რევოლუციონერი და ჟურნალისტი (1809 - 1871 წწ).

დ - 1201

# ჩვენს მკითხველებს!

ბევრ მკითხველს აინტერესებს ჩვენი უნციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემის დაგვიანების მიზეზი.

მოგახსენებთ, რომ ეს მასალა ჩვენ მზად გვაქვს (ა - ე), 200 გვერდის მოცულობით (იგულისხმება ჩვენი გაზეთის ფორმატის გვერდი), ასევე მზად გვაქვს 40 გვერდისაგან შემდგარი ენციკლოპედიური მასალა ნობელის და ოსკარის ყველა ლაურეატის შესახებ, მაგრამ თავი იჩინა ფინანსურმა პრობლემებმა, რომელთა გადაწყვეტა თანამედროვე ეტაპზე ჩვენ არ შეგვიძლია.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რათა აზრი გამოთქვათ ჩვენი მოსაზრების შესახებ მომზადებული მასალის გამოცემასთან დაკავშირებით.

1) ზემოთხსენებული მასალის ერთ წიგნად გამოცემა საკმაოდ დიდ საწყის თანხას საჭიროებს. ჩვენ ვგულისხმობთ უმაღლესი დონის გამოცემას, შესაბამისი ყდითა და ატრიბუტიკით. ამ თანხის გარკვეული ნაწილის მოძიება ჩვენ შეგვიძლია (...აბსოლუტურად გამორიცხულია ვინმე სპონსორის მონაწილეობა ამ საქმეში. ჩვენ ეს წიგნი „ფანტაზიის“ ძალებით უნდა გამოვცეთ!), დანარჩენი ნაწილის შესავსებად კი ასეთი რამ მოვიფიქრეთ:

ჩვენ წინასწარ შევადგენთ წიგნის შეძენის მსურველთა სიას, რომელთაგან გვექნება პირობა იმისა, რომ ისინი აუცილებლად იყიდიან წიგნს და გადაიხდიან დათქმულ ღირებულებას, რაც წიგნის გასაყიდი ფასის ნახევარი იქნება. საამისოდ საჭიროა დაახლოებით 300 განაცხადი, რომელთა ავტორებსაც წიგნი გადაეცემათ პირველ რიგში და ფულს გადაიხდიან მხოლოდ წიგნის მიღების შემდეგ.

2) შესაძლებელია მომზადებული მასალის ოთხ ნაწილად გამოცემა (ერთი კრებული - ერთი ასო). ეს კრებულები დაიბეჭდება თვეში ერთხელ, საშუალო დონის გამოცემის სახით და მასში, გარდა ენციკლოპედიური მასალისა, წარმოდგენილი იქნება ესა თუ ის რუბრიკა (სრული სახით), როგორიცაა, ვქვათ, „XX საუკუნის 500 გამოჩენილი ადამიანი“, „მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები პროფესიონალ მოკრივეთა შორის“, „ამერიკის შტატები“, „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი“ (თუნდაც „მაიმუნების პლანეტა“ ან შექსპირის ყველა თარგმნილი სონეტი).

ამ მეორე ვარიანტის განხორციელებას ჩვენ დამოუკიდებლად შევძლებთ.

* * *

ერთი სიტყვით, ველით თქვენს მოსაზრებებს აღნიშნულ ვარიანტებთან დაკავშირებით და იმედი გვაქვს, რომ „ფანტაზიის“ წიაღში გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სხვა ვარიანტებს შემოგვთავაზებენ.

და ვიმეორებთ: ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გამოვცემთ წიგნს იმ აპრობირებული წესით, რაც, ზოგადად რომ ვთქვათ, „გარეშე სპონსორების“ ჩარევას გულისხმობს.

## ამავე ნომრის რეიტინგის პასუხები

1. ლიმპოპო. 2. იუტა. 3. პრინცი. 4. დუნგა. 5. უზმო. 6. გრაპენტინი. 7. ლამპასი. 8. ბრინერი. 9. შირეა. 10. ალტი. 11. ვისრამიანი. 12. მედრესე. 13. გერცენი. 14. ღელე. 15. საუნდტრეკი. 16. ლოსიონი. 17. სტავრა. 18. არქონტი. 19. ანტალია. 20. ტიტანია. 21. გნესინი. 22. ბიონდი. 23. დინგო. 24. კუინჯი. 25. იშტა. 26. ბაბუინი. 27. კეკე. 28. ჩოპი. 29. გველესიანი. 30. დოში. 31. ვინემ. 32. ჭირიმია.

**IQ ტესტის პასუხები**:

ყველაზე ადვილი - 4, პირველი სირთულე - 2, მეორე სირთულე - 1, მესამე სირთულე - 6, მეოთხე სირთულე - 4, ყველაზე ძნელი - 6

ინდივიდუალური საწარმო ნატალია
ბერიკიშვილი („ფანტაზია-2000“)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს
რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: **79-53-70,**
**(877) 45-19-80, (877) 72-61-18**
გაზეთი გამოდის ალექსანდრე და ვახტანგ
ელერდაშვილების რედაქტორობით
**E-Mail: sashiko45@hotmail.com**

# 1909 წელი

**1 იანვარი** - ჩინეთში იუან შიკაის და მთელი მთავრობის გადაყენების შედეგად მთელი ხელისუფლება მანჯურიელთა ხელში გადადის.

**9 თებერვალი** - კონცესიების მიღების საზღაურად გერმანია ცნობს საფრანგეთის საგანგებო ინტერესებს მაროკოს მიმართ.

**13 თებერვალი** - თურქი ნაციონალისტების ზეწოლის შედეგად დიდი ვეზირი ქამალ-ფაშა იძულებით ტოვებს დაკავებულ პოსტს.

**26 თებერვალი** - თურქეთი დიდი ფულადი კომპენსაციის საზღაურად ცნობს ავსტრო-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსიას.

**4 მარტი** - აშშ-ში უ.გ.ტაფტი საზეიმოდ იღებს პრეზიდენტის თანამდებობას.

**31 მარტი** - დიდი სახელმწიფოების ჩარევის შედეგად საომარი კონფლიქტი ავსტრო-უნგრეთსა და სერბიას შორის მშვიდობიანი გზით გვარდება.

**9 აპრილი** - თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალება ხორციელდება მონარქიული წყობილების წინააღმდეგ.

**13 აპრლი** - ბულგარეთის მეფე ფერდინანდ I ჩადის რუსეთში, რათა ითხოვოს ფინანსური დახმარება თურქეთისაგან დამოუკიდებლობის მიღებისათვის, რის შედეგადაც თურქეთი ცნობს ბულგარეთის დამოუკიდებლობას.

**24 მაისი** - სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით ბერძენი მეომრები ქმნიან საგანგებო სამხედრო ლიგას.

**17 ივნისი** - რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-ის და გერმანიის კაიზერ ვილჰელმ II-ის შეხვედრა.

**16 ივლისი** - სპარსეთის შაჰი მუჰამედ ალი უარს ამბობს ტახტზე და ტიტულს 12 წლის აჰმად-შაჰს გადასცემს.

**13 აგვისტო** - შვედეთში იწყება საერთო-სახალხო გაფიცვა.

**21 ოქტომბერი** - ესპანეთში ხელისუფლების სათავეში ლიბერალური მთავრობა მოდის.

**25 ოქტომბერი** - ხარბინში კორეელი ფანატი კლავს იაპონიის პრინც იტოს. იაპონია კორეაში უმკაცრეს დიქტატორულ რეჟიმს ამყარებს.

**1 ნოემბერი** - დიდი ბრიტანეთი და გერმანია იწყებენ მოლაპარაკებებს ბაღდადის რკინიგზაზე კონტროლის გამკაცრების თაობაზე.

**13 ნოემბერი** - აშშ-ს ილინოისის შტატის ჩერის შტატში მომხდარი ხანძრის შედეგად 250 ადამიანი იღუპება.

**30 ნოემბერი** - დიდ ბრიტანეთში ლორდთა პალატა უარყოფს ე.წ. „სახალხო ბიუჯეტს“, რაც სერიოზული საკონსტიტუციო კრიზისის მიზეზი ხდება.

**1 დეკემბერი** - ჰონდურასში იწყება სამოქალაქო ომი (გაგრძელდა 1911 წლამდე).

**2 დეკემბერი** - იტალიაში გადადგა ჯოვანი ჯოლიტის მთავრობა და მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას ბარონი სონინო შეუდგა.

**17 დეკემბერი** - მეფე ლეოპოლდ II-ის სიკვდილის გამო ბელგიის ტახტზე ადის ალბერ I, რომელიც სახელმწიფოს სათავეში რჩება 1934 წლამდე.

**28 დეკემბერი** - მიწისძვრა იტალიის სამხრეთ ნაწილში, კალაბრიასა და სიცილიაზე. დაიღუპა 200 000-მდე ადამიანი.

### საზოგადოება, განათლება, რელიგია.

- გერმანიის უნივერსიტეტებში ქალების მიღებასაც იწყებენ.

- პალესტინაში იქმნება პირველი კიბუცი.

- ავსტრალიაში იღებენ კანონს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ.

- ზიგმუნდ ფროიდი აშშ-ში იწყებს ლექციების კითხვას ფსიქოანალიზის შესახებ.

- პაპი პიუს X ჟანა დ,არკს წმინდანად აცხადებს.

### მეცნიერება, ტექნიკა, აღმოჩენები.

- ლუი ბლერიო ლა-მანშის გადალახვას მონოპლანით ახერხებს.

- გერმანიაში კარლ ჰოფმანი იღებს ბუტადიენისაგან სინთეტური კაუჩუკის მიღების ტექნოლოგიას.

- ნიდერლანდში ვ.იოჰანსენს შემოაქვს ცნება „გენი“.

- აშშ-ში იწყებენ გამოკვლევებს გენეტიკის სფეროში.

### ხელოვნება

- იტალიელი პოეტი და პუბლიცისტი ფილიპო ტომაზო მარინეტი აქვეყნებს „ფუტურისტის პირველ მანიფესტს“ საფრანგეთში, გაზეთ „ფიგაროში“.

- იქმნება ამერიკის ხელოვნების ფედერაცია.

### ფერწერა

- *პაბლო პიკასო.* ჰორტა და ებროში შექმნილი პეიზაჟების სერია. პირველი დასრულებული ნაწარმოებები ანალიტიკური კუბიზმის სტილში.

- *ანრი რუსო.* ყვავილები ლარნაკში.

- *ჯაკომო ბალა.* ქუჩის ლამპიონი (სინათლის გამისხივება).

### მუსიკა

- *ისააკ ალბენისი.* იბერია (სიუიტა ფორტეპიანოსათვის).

- *გუსტავ მალერი.* სიმფონია № 9. სიმღერა დედამიწაზე.

- *ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი.* ოქროს მამალი (დაიდგა ავტორის სიკვდილის შემდეგ).

- *იან სიბელიუსი.* სიმებიანი კვარტეტი.

- *რიჰარდ შტრაუსი.* ელექტრა (ოპერა).

რუსი იმპრესარიო სერგეი დიაგილევი ხსნის რუსული ბალეტისა და ოპერის სეზონს პარიზში.

### ლიტერატურა

- *გიიომ აპოლინერი.* ლექსების კრებული.

- *ანდრე ჟიდი.* ზუსტად კარებთან.

- *ჰერტრუდა სტაინი.* „სამი სიცოცხლე“.

- *რაბინდრანათ თაგორი.* „გიტანჯალი“.

- *ჰერბერტ უელსი.* „ტონო ბენგე“.

### დრამა

- *ჯონ გოლზუორთი.* „ კამათი“.

- *მორის მეტერლინკი.* „ლურჯი ფრინველი“.

### კინემატოგრაფია

- ინგლისში იღებენ კანონს მხატვრული ფილმების წარმოების ლიცენზირების შესახებ კინოპროდუქციის კონტროლის მიზნით.

- აშშ-ში დ.უ.გრიფიტი გოგონა-მსახიობ გლედის სმიტისაგან ვარსკვლავ მერი პიკფორდს ქმნის.

### ყოფაცხოვრება

- ამერიკელი ბიზნესმენი გ.გ.სელფრიჯი ლონდონში ხსნის პირველ უნივერსალურ მაღაზიას.

- გერმანიაში ყალიბდება სასტუმროების ეროვნული ქსელი სტუდენტებისათვის ღამის გასათევი ადგილების შესაქმნელად.

### პრესა

- ინგლისში იწყებენ პირველი ბულვარულ გაზეთის „დეილი სკეტჩის“ გამოშვებას.

### სპორტი

- ლონდონის ტუიკნემის სტადიონზე იწყება რეგბისტთა კავშირის ჩემპიონატი. პირველ მატჩში „არლეკინმა“ დაამარცხა „რიჩმონდი“ ანგარიშით 14:12.

# გასული ნომრის პასუხები

### მესამე გვერდი

თარაზულად: 1. პისარო. 4. ბიშკეკი. 7. მღებავი. 13. კალიბანი. 14. ფლორენცია. 15. ლეჩე. 18. პერესტიანი. 19. კვაჭი. 20. ყაურმა. 23. უნცია. 24. დანიელი. 25. გოგჩა. 30. ფრაიბურგი. 31. ვერდი. 32. აკრი. 36. ბონი. 37. მუმიტროლები. 38. ჰაინე. 42. ბარმალეი. 43. ადრიატიკა. 44. ჯაფა. 47. ემპირიული. 48. სილვერსტოუნი. 51. ვექილი. 52. ჟირარდო. 53. ატრია. 57. ბრაიტნერი. 58. ფარვატერი. 62. ლევა. 63. მატრიარქატი. 64. აზდაკი. 67. ვინსენტი. 68. ექსტრუზია. 69. იზეო. 72. პეშკოვი. 73. მარგარიტა. 77. კენტი. 78. პრიმატი. 79. ემულსია. 84. ორტი. 85. ბორხესი. 86. ფედრა. 87. ჟაბო. 91. ლევირატი. 92. გრიმასა. 93. კურაჟი. 94. ვივიპარია. 95. ნომენკლატურა.

შვეულად: 1. პიკაპი. 2. სელერონი. 3. რობესპიერი. 5. კოლი. 6. კარაველა. 8. ღვია. 9. ვიეირა. 10. ინჯია. 11. კნაჭა. 12. დემაგოგია. 16. ანდალუსია. 17. სანჩო. 21. მირგოროდი. 22. გორდა. 26. ბაობაბი. 27. ბიჟუტერია. 28. ბეიბუტოვი. 29. აკონკაგუა. 33. ანდრომაქე. 34. ალკიბიადე. 35. რაუ. 39. რადიალური. 40. სკურატოვი. 41. მარიუსი. 45. პლეიშნერი. 46. სტრიპტიზი. 49. სვერდლოვსკი. 50. პატრიარქი. 54. სიმანტეკი. 55. ვარტბურგი. 56. ერთაოზი. 59. ღვინო. 60. ექსტრაქტი. 61. ბინოკლი. 65. რეგენტი. 66. სისტემური. 70. კვერცხი. 71. სტელა. 74. კენტავრი. 75. ემისარი. 76. ჩიკამაცუ. 80. ჯოული. 81. შოსტკა. 82. მერსიე. 83. მონიკა. 88. ერგი. 89. ამაო. 90. ქულა.



### მე-6 გვერდი

თარაზულად: 1. გორენკო. 7. კასეტა. 10. ტარხუნა. 12. ბუდარია. 13. ლამბაქი. 14. რამზესი. 15. ნაზრანი. 16. ნარგილე. 17. დუნკანი. 18. ალადინი. 22. ნონიუსი. 23. ბეტისი. 26. ფრეილინა. 27. ტიტინა. 30. ზარნაშო. 31. პატეფონი. 32. შუქურა. 33. სეინერი. 34. პარალიჩი. 38. ბრეშია. 39. პანიკა. 42. სემანტიკა. 43. ჰიგია. 46. მეთევზე. 47. რესტორანი. 48. ლორწო. 49. რობერტი. 50. კაპიტალი. 51. ორანი.

შვეულად: 1. გაბუნია. 2. როდეზია. 3. ნარვალი. 4. ოტარიდი. 5. ბრამანტე. 6. ბუცეფალი. 7. კალინინი. 8. სამარანჩი. 9. ტრაგიკული. 11. კინეტიკა. 19. ლარნაკა. 20. დეინეკა. 21. ნეირონი. 23. ბაზისი. 24. ტორტილა. 25. სკაპენი. 27. ტოშიბა. 28. ტექსელი. 29. ნარგიზი. 34. პისარო. 35. რემისია. 36. ლონდონი. 37. ჩაიხანა. 39. პამირი. 40. ნათება. 41. კოვარი. 43. ჰელიო. 44. გერმა. 45. ამონი.



### მე-9 გვერდი

1. დუქარდი. 2. უფხო. 3. ასკეტი. 4. ფიჭვი. 5. ინოკენტი. 6. ვრაცუა. 7. ემბარგო. 8. სესიტაშვილი. 9. ვივიპარია. 10. მიხაკი. 11. ჯეროვანი. 12. მოლეული. 13. ატროფირებული. 14. ინკასატორი. 15. გენა. 16. ლეპანტო. 17. სარდინია. 18. სანდრელი. 19. დასაძლევი. 20. ვარი. 21. ოდელია. 22. ჯეელი. 23. დრანდა. 24. ალიენდე. 25. ივრი. 27. ჯორი. 27. ლიოზნოვა. 28. ელდეპო. 29. ანიმალისტი. 30. ცივი.









იაპონური ნახატების დეკემბრის თვის გამარჯვებულ ქეთინო ნინოშვილს ვთხოვთ დაგვიკავშირდეს

# შეამოწმეთ თქვენი ვიზუალური მეხსიერება



ეს მსახიობი გვახსოვს ფილმიდან:

ა) „შემოდგომის მარათონი“. ბ) „ვოგზალი ორისათვის“. გ) „ბედის ირონია“. დ) „სამსახურეობრივი რომანი“



ეს არის კადრი ფილმიდან:

ა) „ივან ვასილის ძე იცვლის პროფესიას“. ბ) „სპორტლოტო-82“. გ) „კავკასიელი ტყვე ქალი“. დ) „ოპერაცია Ы ანუ შურიკას თავგადასავალი“



ეს არის კინორეჟისორი:

ა) სიდნი პოლაკი. ბ) სტივენ სპილბერგი. გ) ფრენსის კოპოლა. დ) სტენლი კუბრიკი.

* * *

**ღლევანდელი ნომრის კითხვების პასუხებს იხილავთ შემდეგ ნომერში, თუმცა, თუ სურვილი გექნებათ, დაგვირეკეთ, გვაისაუბროთ და დავადგინოთ თქვენი „ინტელექტუალური კოეფიციენტი“ 277-ე „ფანტაზიიდან გამომდინარე.**

# რომელი ქალაქების ხედებია ეს?









# „ფანტაზიის“ პირისპირ

1. ვინ არის ცნობილი გამომძიებელი ბიჭუნა ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედებაში?
2. ვინ არის ავტორი ფერწერული ტილოსი „თავისუფლება ბარიკადებზე“.
3. ვინ არის ავტორი ლიტერატურული პირველწყაროსი, რომლის საფუძველზეც დაწერა ბალეტი „მაკნატუნა“ პეტრე ჩაიკოვსკიმ?
4. რომელ საუკუნეში დასაჯეს პირველად ადამიანი ელექტროსკამზე?
5. რომელი ოპერის პერსონაჟები არიან: ამონასრო და ამნერისი?
6. ვინ არის ის ქალი, რომელსაც ორ სხვადასხვა სფეროში აქვს მიღებული ნობელის პრემიები სხვადასხვა წლებში?
7. ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც პირველმა შეძლო დედამიწის ორივე პოლუსის დალაშქვრა?

